F-220
1991

ISSN 0203—2023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1991

№ 6

# საქართველოს რესპუბლიკის
# უზენაესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-6011

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 6 (611) ივნისი 1991 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

397. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ.

398. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ყორნისის რაიონის სასამართლოს გაუქმებისა და ქარელის რაიონის სასამართლოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ.

399. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სასამართლოების გაერთიანების და ზუგდიდის სასამართლოს შექმნის შესახებ.

400. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. გორისა და გორის რაიონის სასამართლოების გაერთიანების, ცხინვალის რაიონის სასამართლოს გაუქმებისა და გორის სასამართლოს შექმნის შესახებ.

401. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების სასამართლოების გაუქმებისა და ქ. ქუთაისის სასამართლოს შექმნის შესახებ.

402. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ზვიად გამსახურდიას უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

403. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ცენტრის შექმნის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

404. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის გაუქმებისა და ახალი სამსახურის შექმნის შესახებ.

405. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ტ. ა. ფუტკარაძის ქ. ბათუმის პრეფექტის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

406. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება რ. დ. კასრაძის ქ. ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

407. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრაძნებულება ლ. ნ. ანდღულაძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

408. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ე. დ. ჯაველიძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

409. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ზ. ვ. მინდელის საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

410. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება გ. გ. გოგავას საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

411. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ა. მ. ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

412. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება კ. შ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

413. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოში კეთილშობილი ლითონების სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

414. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ა. ა. ჭირაქაძის საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

415. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესის სამსახურის შექმნის შესახებ.

416. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება შ. ნ. ქიტიაშვილის გურჯაანის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

417. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ბ. ი. ბიბინეიშვილის ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები**

**(7 ივნისი)**

418. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

**(14 ივნისი)**

419. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს შექმნის შესახებ.

420. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება გ. ვ. აბსანძის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

421. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ზ. ვ. მინდელის საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

422. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ.

423. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ა. მ. ჭელიძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

424. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება გ. გ. გოგავას საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

425. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ლ. ნ. ანდღულაძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

426. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ე. დ. ჯაველიძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

427. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შექმნის შესახებ.

428. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება კ. შ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

429. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

430. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

431. დებულება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

432. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა არჩევის შესახებ.

433. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი მსაჯულის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ.

434. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

435. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

436. საქართველოს რესპუბლიკის კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ.

437. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მოქალაქის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დროებითი დებულების სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

438. მოქალაქის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დროებითი დებულება.

439. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

440. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ დებულების სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

441. დებულება საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ.

442. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

443. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

444. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ.

**(28 ივნისი)**

445. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

446. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სამეწარმეო საქმიანობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

447. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე.

448. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის, ბანკებისა და საბანკო საქმიანობის, ფულადი სისტემისა და ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონების თაობაზე.

449. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ადამიანის მოტაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

450. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა **შეტანის თაობაზე.**

451. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ქ. ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვები.
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომები
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 397 საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნონ:

ბაღდათის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — ნუგზარ ვალერიანის ძე **ჩინჩალაძე;**

ბორჯომის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად — დავით აბესალომის ძე **ნოზაძე,** ალეკო შოთას ძე **კვირკველია;**

დედოფლის წყაროს რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად — დავით დავითის ძე **ნადაშვილი,** ოლია გურამის ასული **სეფიაშვილი;**

დუშეთის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — ეთერ თევდორეს ასული **ოქრუაშვილი;**

ლაგოდეხის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — ნანა ბიჭიკოს ასული **ჩალათაშვილი;**

ლანჩხუთის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — ვლადიმერ კუკურის ძე **გვარჯალაძე;**

ოზურგეთის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად — მედეა ისიდორეს ასული **ჯანელიძე,** ვლადიმერ ალიოშას ძე **ნიკოლაიშვილი;**

ყვარლის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — გიორგი იოსების ძე **ბერიაშვილი;**

ჩხოროწყუს რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — თენგიზ ლავრენტის ძე **ხარებავა;**

წალკის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — გივი რობერტის ძე **პაპუაშვილი;**

საგარეჯოს რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად — თემურ არჩილის ძე **მასურაშვილი,** ჭაბუკი ნუგზარის ძე **ჭანტურია;**

ხონის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად — მზია ვარლამის ასული **თოდუა,** მურთაზ სერაპიონის ძე **მეშველიანი;**

ქალაქ ჭიათურის სასამართლოს მოსამართლეებად — კაზმერ ანდროს ძე **ცხადაძე,** გოჩა ნოდარის ძე **სხირტლაძე.**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.**

თბილისი, 1991 წლის 11 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დადგენილება

### 398 ყორნისის რაიონის სასამართლოს გაუქმებისა და ქარელის რაიონის სასამართლოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „ცხინვალისა და ყორნისის რაიონების გაუქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 აპრილის კანონის შესაბამისად გაუქმდეს ყორნისის რაიონის სასამართლო.

2. ქარელის რაიონის სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს მოსამართლეთა სამი საშტატო ერთეულით.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებების საშტატო განრიგში ქარელის რაიონის სასამართლოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაბაძე ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 11 ივნისი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დადგენილება

### 399 ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სასამართლოების გაერთიანებისა და ზუგდიდის სასამართლოს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სამართალდამცველი ორგანოების ერთიან სისტემაში მოყვანის მიზნით გაერთიანდეს ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სასამართლოები და მათ ბაზაზე შეიქმნას ზუგდიდის სასამართლო.

2. ზუგდიდის სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს მოსამართლეთა ოთხი საშტატო ერთეულით.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საშტატო განრიგში ზუგდიდის სასამართლოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაბაძე ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 11 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 400 ქ. გორისა და გორის რაიონის სასამართლოების გაერთიანების, ცხინვალის რაიონის სასამართლოს გაუქმებისა და გორის სასამართლოს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სამართალდამცველი ორგანოების ერთიან სისტემაში მოყვანის მიზნით ქ. გორისა და გორის რაიონის სასამართლოების ბაზაზე შეიქმნას გორის სასამართლო.

2. „ცხინვალისა და ყორნისის რაიონების გაუქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 აპრილის კანონის შესაბამისად გაუქმდეს ცხინვალის რაიონის სასამართლო და მისი საშტატო ერთეულები გადაეცეს გორის სასამართლოს.

3. გორის სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს მოსამართლეთა ხუთი საშტატო ერთეულით.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საშტატო განრიგში გორის სასამართლოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 11 ივნისი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 401 ქ. ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების სასამართლოების გაუქმებისა და ქ. ქუთაისის სასამართლოს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „ქ. ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების გაერთიანების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 21 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად გაუქმდეს ქ. ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების სასამართლოები.

2. შეიქმნას ქ. ქუთაისის სასამართლო და მისი შემადგენლობა განისაზღვროს მოსამართლეთა რვა საშტატო ერთეულით.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საშტატო განრიგში ქ. ქუთაისის სასამართლოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 11 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 402 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ზვიად გამსახურდიას უფლებამოსილების შეჩერების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის $121^2$-ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სადეპუტატო უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 11 ივნისი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 403 საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ცენტრის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნების შედეგად დამკვიდრებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის (ყოფილი „იმელის") თანამშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დაქვემდებარებიდან მისი გამოსვლის შესახებ და აღნიშნული ინსტიტუტის ბაზაზე რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან ჩამოყალიბდეს ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ცენტრი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს დეპარტიზებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას

2. განისაზღვროს ცენტრის საქმიანობის შემდეგი ძირითადი მიმართულებანი:

ა) სამეცნიერო-კვლევითი;

ბ) ეროვნული პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის მუზეუმი;

გ) პოლიტიკური პარტიების არქივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი ახლადშექმნილი ცენტრის საშტატო განრიგისა და მისი შენახვის ხარჯების თაობაზე.

4. ცენტრის დირექტორად დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი გერმანე გერმანეს ძე ფაცაცია.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 11 ივნისი

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 404 საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის გაუქმებისა და ახალი სამსახურის შექმნის შესახებ

ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკაში აღარ არსებობს კომუნისტური რეჟიმი, შეიცვალა საკუთრებისა და ეკონომიკური ურთიერთობის ფორმები, მიზანშეუწონელია საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის არსებობა; ამასთან დაკავშირებით ვ ა დ გ ე ნ:

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური და შეიქმნას ეკონომიკურ დანაშაულებათა წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 405 ტ. ა. ფუტკარაძის ქ. ბათუმის პრეფექტის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ტარიელ ალექსანდრეს ძე ფუტკარაძე ქ. ბათუმის პრეფექტის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 406 რ. დ. კახრაძის ქ. ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს რომან დავითის ძე კახრაძე ქ. ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 407 ლ. ნ. ანდღულაძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ლია ნიკოლოზის ასული ანდღულაძე საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**408** ე. დ. ჯაველიძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ელიზბარ დიმიტრის ძე ჯაველიძე საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**409** ზ. ვ. მინდელის საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ზურაბ ვიქტორის ძე მინდელი საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**410** გ. გ. გოგავას საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გრიგოლ გრიგოლის ძე გოგავა საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 411 ა. მ. ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ანზორ მიხეილის ძე **ჭლიკაძე** საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 412 კ. შ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს კახი შალვას ძე **ასათიანი** საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 413 საქართველოში კეთილშობილი ლითონების სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის დასკვნა რესპუბლიკაში კეთილშობილი ლითონების სამრეწველო წარმოების მიზანშეწონილობის შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაუყოვნებლივ გამართოს მოლაპარაკება უცხოეთის წამყვან კომპანიებსა და ფირმებთან კეთილშობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითონების სამრეწველო მასშტაბით მოპოვების თანამედროვე, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიის შერჩევისა და რესპუბლიკის პირობებში მისი დანერგვის თაობაზე.

3. პრობლემის სირთულისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, აგრეთვე ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხის ოპერატიულად მოგვარებისა და საერთო კოორდინაციის მიზნით შეიქმნას სამთავრობო კომისია საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს, გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის და სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

4. 1991 წლის სექტემბერში უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნეს ანგარიში ამ დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

5. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზვიად გამსახურდია** ... 

თბილისი, 1991 წლის 18 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**414** **ა. ა. ჭირაქაძის საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს არჩილ არჩილის ძე **ჭირაქაძე** საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი**.

თბილისი, 1991 წლის 24 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**415 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესის სამსახურის შექმნის შესახებ**

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესის სამსახური და მის ხელმძღვანელად დაინიშნოს არჩილ არჩილის ძე **ჭირაქაძე.**

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 24 ივნისი.

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**416 შ. ნ. ქიტიაშვილის გურჯაანის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს შოთა ნიკოლოზის ძე **ქიტიაშვილი** გურჯაანის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

**417 ბ. ი. ბიბინეიშვილის ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს ბესარიონ ილიას ძე ბიბინეიშვილი ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 27 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები
(7 ივნისი)

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**418 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგინების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.

თბილისი, 1991 წლის 7 ივნისი.

(14 ივნისი)

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

## 419 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და მათ ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

## Დ Ა Დ Გ Ე Ნ Ი Ლ Ე Ბ Ა

## 420 Გ. Ვ. ᲐᲑᲡᲐᲜᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲓ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს გურამ ვალიკოს ძე **აბსანძის** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.



საქართველოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 421 ზ. ვ. მინდელის საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზურაბ ვიქტორის ძე **მინდელის** საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 422 საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო და მათ ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

**423** **ა. მ. ჭილიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ანზორ მიხეილის ძე ჭილიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

**424** **გ. გ. გოგავას საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს გრიგოლ გრიგოლის ძე გოგავას საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 425 ლ. ნ. ანდღულაძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ლია ნიკოლოზის ასულ **ანდღულაძის** საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე პირადი განცხადების საფუძველზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 426 ე. დ. ჯაველიძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ელიზბარ დიმიტრის ძე **ჯაველიძის** საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 427 საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის შემდგომი განვითარების, აგრეთვე, საქართველოში უმაღლესი დონის ტურისტული ინდუსტრიის შექმნის მიზნით, სპორტისა და ტურიზმის ინტეგრაციის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის, საქართველოს უცხოეთის ტურიზმის გაერთიანების, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს, ახალგაზრდული ტურიზმის ბიუროს „სპუტნიკის", ბაზაზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ამ კანონიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 428 კ. შ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს კახი შალვას ძე **ასათიანის** საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დანიშვნაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 429 ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები 1961 წ., № 1, მუხ. 10).

1. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან 165-ე მუხლი.

2. $169^3$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $169^3$.** ვაჭრობის წესების დარღვევა

დადგენილი წესების დარღვევით სახელმწიფო სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობებიდან, ბაზებიდან, დამხმარე ნაგებობებიდან საქონლის გაყიდვა, აგრეთვე საქონლის გადამალვა, ჩადენილი სახელმწიფო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

იგივე მოქმედება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან არაერთგზის, ანდა დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ანდა გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ანდა ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

დადგენილი წესების დარღვევით სახელმწიფო სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობებიდან, ბაზებიდან, დამხმარე ნაგებობებიდან საქონლის გაყიდვა, აგრეთვე საქონლის გადამალვა, ჩადენილი სახელმწიფო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**შენიშვნა:** ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის დიდი ოდენობით გაყიდვად და გადამალვად ჩაითვლება არანაკლებ ხუთასი მანეთის ღირებულების კვების პროდუქტების და არანაკლებ ორი ათასი მანეთის ღირებულების სხვა საქონლის გაყიდვა და გადამალვა, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად — არანაკლებ ორი ათას ხუთასი მანეთის ღირებულების კვების პროდუქტების და არანაკლებ ათი ათასი მანეთის ღირებულების საქონლის გაყიდვა და გადამალვა".

3. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის $169^6$ და $169^7$ მუხლები:

**მუხლი $169^6$.** ფასების ხელოვნურად გაზრდა და მაღალი ფასების შენარჩუნება

სახალხო მოხმარების საქონელზე ფასების ხელოვნურად გაზრდა და მაღალი ფასების შენარჩუნება გადამყიდველების ან სხვა პირების მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან ძალადობით ან ასეთის გამოყენების მუქარით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან ჯარიმით ათი ათას მანეთამდე.

**მუხლი $169^7$.** უკანონო სავაჭრო საქმიანობა

უკანონო სავაჭრო საქმიანობა, ე. ი. საქონლის შესყიდვისა და გაყიდვის გარიგების განხორციელება დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე, სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის არიდება მოგების მიღების მიზნით, თუ ეს მოქმედება ჩადენილია ვაჭრობის სფეროში წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ან წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, ანდა დიდი ოდენობით მოგების მიღების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის არიდებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოგების მიღების მიზნით, ანდა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმით თხუთმეტი ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების, ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

**შენიშვნა:** სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის არიდებით დიდი ოდენობის მოგებად ჩაითვლება თანხა არანაკლებ სამი ათასი მანეთისა, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად — არანაკლებ თხუთმეტი ათასი მანეთისა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 229-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 229.** დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა და გასაღება

წინასწარი შეცხობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციით“.

5. 8$^{1}$ მუხლის მეორე ნაწილსა და 44-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სპეკულაცია (165-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)“ შეიცვალოს სიტყვებით „ვაჭრობის წესების დარღვევისათვის (169$^{3}$ მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)“.

II. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1 მუხ. 11) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 120-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „165-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით“ და „169$^{3}$“;

მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „165-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით“, ხოლო სიტყვების „169-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „169$^{3}$ მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 169$^{5}$, 169$^{4}$ მუხლებით“.

2. მე-400 მუხლში სიტყვების „169$^{1}$ მუხლით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „169$^{3}$ მუხლის პირველი ნაწილით“.

III. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხლი 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 153-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 153.** ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების მიერ ვაჭრობის წესების დარღვევა

მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ან კოოპერატივებში დადგენილი საცალო ფასების გადამეტებით იმ საქონლის გაყიდვა, რომელიც გამოყოფილია საბაზრო ფონდიდან ან შეძენილია საცალო ქსელში, —

გამოიწვევს ფასების აწევის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირის დაჯარიმებას ათას მანეთამდე, ამ საქონლის კონფისკაციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასი მანეთამდე, ამ საქონლის კონფისკაციით".

2. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან 159-ე მუხლი.

3. 205-ე მუხლში რიცხვები „143-153" შეიცვალოს რიცხვებით „143-152".

4. 208-ე მუხლში რიცხვის „142-ე" შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე".

5. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„153-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს შეადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, საგადასახადო ინსპექციის თანამდებობის პირები ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები".

6. 252-ე მუხლის მეორე ნაწილში რიცხვი „159-ე" შეიცვალოს რიცხვით „153-ე".

7. 262-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს რიცხვი „159-ე" და რიცხვის „45-ე" შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე".

8. 269-ე მუხლში რიცხვი „159-ე" შეიცვალოს რიცხვით „153-ე".

9. 279-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს რიცხვი „159-ე" და რიცხვის „142-ე" შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე".

10. 295-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს რიცხვი „159-ე" და რიცხვის „142-ე" შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე".

IV. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 15 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლისა და „წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე".

V. შეწყდეს წარმოებით საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოებში არსებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეები და მოსამართლეთა წარმოებაში არსებული საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეები.

გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები.

VI. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

**430** **„საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 2 თებერვლის ბრძანებულების პირველი მუხლი (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ., № 2, მუხ. 32).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

# 431 საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ

## თ ა ვ ი I

### საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

მუხლი 1. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში ბრალეული მოქმედების ან უმოქმედობის გამო:

1) სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის დარღვევისათვის;
2) სხვა სამსახურეობრივი გადაცდომისათვის;
3) სახელის გამტეხი საქციელისათვის.

მუხლი 2. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების კომპეტენცია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

**პოღოსიანი** რუბენ აკოფის ძე
**სეროპიანი** ალეკო ანდრონიკის ძე
**ღარსლიანი** სარუხან ზურაბის ძე

**ოზურგეთიდან**

**ასათიანი** ნუგზარ ოთარის ძე
**ბერია** ანა გიორგის ასული
**ინწკირველი** მზია მამიას ასული
**კიკვაძე** ნინო იოსების ასული
**კიკვაძე** ბელა ვახტანგის ასული
**კვერღელიძე** მერაბ ვიქტორის ძე
**ლომაძე** მაია თემურის ასული
**მაზიაშვილი** თამაზ ილიას ძე
**მორგოშია** ბადრი ივსიხის ძე
**ნიკოლაიშვილი** ქეთევან ილიას ასული
**რუსიეშვილი** დარეჯან გივის ასული
**ტულუში** ცისანა დიმიტრის ასული
**ჩხარტიშვილი** ლერი აფრასიონის ძე
**ცეცხლაძე** ნადია მამიას ასული
**ხომერიკი** რაინდი ვალერიანის ძე

**ონიდან**

**ბეროშვილი** გივი ვახტანგის ძე
**იაშვილი** მარგარიტა ვალერიანის ასული
**კახეთელიძე** ჯულიეტა მიხეილის ასული
**ნავროზაშვილი** მარიამ ავთანდილის ასული
**ორდინიძე** მერაბ შალვას ძე
**ჯაფარიძე** ლამარა ვლადიმერის ასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საგარეჯოდან**

**ბაჩიაშვილი** დალი იოსების ასული
**გორგილაძე** მიხეილ ხელედის ძე
**დეკანოზიშვილი** ცისანა გიორგის ასული
**კობერიძე** ვაჟა გიორგის ძე
**პანკელაშვილი** ნოდარ გიორგის ძე
**როსტიაშვილი** სულხან გიორგის ძე
**ტაბატაძე** რეზო სერგოს ძე
**შაქარაშვილი** დავით თენგიზის ძე
**ძამანაშვილი** ვაჟა გივის ძე
**ჯიქიძე** ზაურ ვალერიანის ძე

**სამტრედიიდან**

**გიგინეიშვილი** ნინო მიხეილის ასული
**ვაშაკიძე** მარიამ გივის ასული
**თადუმაძე** ავთანდილ შოთას ძე
**კაცაძე** მანანა რევაზის ასული
**სტურუა** სოსო გრიგოლის ძე
**ტონია** ნინო ბადრის ასული
**შანიძე** ოთარ დომენტის ძე
**შენგელია** მარინა ალექსანდრეს ასული

**საჩხერიდან**

**ბარათაშვილი** გენო გიორგის ძე
**გულიტაშვილი** იაშა გერვასის ძე
**მაჭარაშვილი** ცისმარი გიორგის ასული
**ნოზაძე** დარეჯან ანატოლის ასული
**ქველაძე** ვაჟა ლადიკოს ძე
**ცუხიშვილი** გულნარა ივანეს ასული
**ხვთისიაშვილი** შოთა მიხეილის ძე
**ჭოხონელიძე** ბონდო გუგულის ძე

**სენაკიდან**

**გვარამია** დარეჯან მიხეილის ასული
**ელიავა** ლენა იასონის ასული
**ეჯიბია** ნაირა გერანის ასული
**იგორია** რეზო ჭიჭიკოს ძე
**კარტოზია** მზიური გრიგოლის ასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუპრეიშვილი ლალი ჯოგოს ასული
საჯაია ნუგზარ პანტეს ძე
სიჭინავა მანუელი რაჟდენის ასული
წირღვავა ვლადიმერ ვლადიმერის ძე
ხეხია თენგიზ შალვას ძე

**სიღნაღიდან**

ასანიშვილი კოხტა გიორგის ძე
ბაბაკიშვილი თენგიზ შალვას ძე
ბახუტაშვილი ილია შერმაკოს ძე
გზირიშვილი თემურ აბრამის ძე
გიორგაძე ბელა გიორგის ასული
მათეშვილი ნაირა რამინის ასული
მახარაშვილი ნათელა რობერტის ასული
სარიაშვილი ვალია ჰაიკოს ასული
ჯავახიშვილი გიორგი ოთარის ძე

**ქარელიდან**

ბაბლიძე ბესიკ მიხეილის ძე
მურვანიძე ჯულიეტა გიორგის ასული
საზანდრიშვილი პაატა გიორგის ძე
ფარეხელაშვილი ირინე იასეს ასული
ქვრივიშვილი ქეთევან კონსტანტინეს ასული
ჩილაჩავა ცისანა შალვას ასული

**ყაზბეგიდან**

ალიბეგაშვილი ოთარ ვასილის ძე
გოგიჩაიშვილი ლალი ოთარის ასული
გუჯარაიძე ნათელა გიორგის ასული
სუჯაშვილი ვიქტორ ოთარის ძე
ღუდუშაური ზაზა გაიოზის ძე
ჩაპატაური ზურაბ გიორგის ძე
ჩქარეული ბიძინა ილიას ძე
წიკლაური ნათელა ლაზარეს ასული

**ყვარლიდან**

ბალიაშვილი ჯიმი მიხეილის ძე
ბეროშვილი ბაკურ ილიას ძე
ბუჯიაშვილი მერი ლექტორის ასული
გრძელიშვილი თეიმურაზ ვლადიმერის ძე
გულიშვილი ქეთევან მიხეილის ასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კევლიშვილი** ემზარ გიორგის ძე
**ლომიძე** მერი იოსების ასული
**სეფაშვილი** ნათელა შალვას ასული

### ჩოხატაურიდან

**გუდავაძე** თენგიზ რომანის ძე
**დოლიძე** ალბერტ ნოეს ძე
**ვადაჭკორია** ლია ვლადიმერის ასული
**კაკურია** ვალერიან ვალერიანის ძე
**მდინარაძე** დოდო პლატონის ასული
**სიხარულიძე** ვალერიან ივანეს ძე
**ჩავლეიშვილი** რუსუდან დავითის ასული
**ცინცაძე** ნანა გურამის ასული

### ჩხოროწყუდან

**დარსალია** ლუსია ვარლამის ასული
**ვეკუა** ვალერი სერიოჟას ძე
**თოდუა** გია ჩელუსკინის ძე
**თოდუა** რევაზ სანდროს ძე
**კვარაცხელია** ქეთო პარმენის ასული
**ცქიტიშვილი** ნაზი კაპიტონის ასული
**წურწუმია** ნანი აკაკის ასული
**ჯალაღონია** ლევან არტემონის ძე

### ცაგერიდან

**კვირიკაშვილი** გიორგი ალიოშას ძე
**ლიპარტელიანი** მუხრან მურადის ძე
**მუშკუდიანი** გოგი ოთარის ძე
**სანთელაძე** ლადო შოთას ძე
**ცვარიანი** დავით დავითის ძე
**ხაბულიანი** აზა იაშას ასული
**ხეცურიანი** მურთაზ გურამის ძე

### წალენჯიხიდან

**კვარაცხელია** მერაბ გიორგის ძე
**კვარაცხელია** ვერიკო პილას ასული
**მიქავა** ნინო ვლადიმერის ასული
**სარია** გიგლა ვანიჩკას ძე
**ფიფია** ელგუჯა ჟორჟის ძე
**ქვარცხავა** ლადო სერგოს ძე
**ქუჩულორია** ვახტანგ ალექსანდრეს ძე
**შანავა** ნუნუ შალვას ასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წალკიდან**

**ავრალოვი** ლაზარე დავითის ძე
**გავრილოვა** ვალენტინა არსენის ასული
**განციანი** სტანისლავ კაზარის ძე
**ნიკოლაძე** მევლუდ ივერის ძე
**ხარიტო** ლუბა გელების ასული
**ხელაძე** გრიგოლ ევგენის ძე

**ხარაგაულიდან**

**ბარბაქაძე** ალექსანდრე კომუნარის ძე
**კვიჭინაძე** ვალერი სერგოს ძე
**კიკნაძე** კობა ვახტანგის ძე
**ლომსაძე** ნუგზარ იაკობის ძე
**მაჭავარიანი** გულნაზ ვენედიქტეს ასული
**ფერაძე** ლამარა კუკურის ასული
**ჭიპაშვილი** მარინა კონსტანტინეს ასული
**ჭიპაშვილი** ილია გიორგის ძე

**ხაშურიდან**

**ახალკაცი** ნუგზარ თენგიზის ძე
**ახალკაცი** ქუქუნა გრიგოლის ასული
**გოგოლაძე** ვიქტორ ვასილის ძე
**მახაჭაშვილი** ჯემალ დიმიტრის ძე
**მალიძე** ავთანდილ გივის ძე
**ლონდაძე** თენგიზ ირაკლის ძე
**შველიძე** ცაგური ვლადიმერის ასული
**შველიძე** ნანა შოთას ასული
**ჩაჩანიძე** ალექსანდრე შოთას ძე
**ხვედელიძე** არჩილ ვალერიანის ძე

**ხობიდან**

**ბერაია** ემელიანე ვალტერის ძე
**ბერია** ანა ნოდარის ასული
**კორტავა** რევაზ აპოლონის ძე
**მიქაუტაძე** მედეა ოთარის ასული
**ნიკოლეიშვილი** ლალი არკადის ასული
**სირაძე** შოთა ვაჟას ძე
**ხვიჩია** მანანა მამიას ასული
**ჭანტურია** მარინე ოთარის ასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ხონიდან

გიორხელიძე ვლადიმერ სერგოს ძე
დანელია ბაბული გურამის ასული
თოდუა ზურაბ ალექსანდრეს ძე
კირთაძე სვეტლანა დიმიტრის ასული
მგალობლიშვილი დიანა კონსტანტინეს ასული
მეშველიანი მაია დავითის ასული
ჩიხლაძე ზურაბ ვარლამის ძე
ხაჭაპურიძე აზა აკაკის ასული

### აფხაზეთის ასსრ-დან

გეგენავა დარეჯან ჯუმბერის ასული
გერგედავა მამუკა მიხეილის ძე
გვაზავა დიმიტრი სიმონის ძე
გვილავა ნელი ვასილის ასული
გინდია ზაურ კორკის ძე
დოჩია იამზე ვლადიმერის ასული
ზეითუნიანი ივანე ანდრონიკას ძე
კაცია აკაკი გიორგის ძე
კარაჩავა ლამარა კაპიტონის ასული
კვიცინია ვალენტინა შიმოს ასული
კირთაძე ლოლიტა სერაპიონის ასული
მიქავა ნელი პლატონის ასული
სხულუხია სულიკო აქსენტის ასული
ტანია ამირან ვლადიმერის ძე
ფოჩხუა ვახტანგ აპოლონის ძე
ყურაშვილი გურამ მელიქსის ძე
ჩარგაზია ზურაბ ივანეს ძე
ჩიქოვანი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე
ცვიჟბა სტანისლავ ივანეს ძე
ხურციძე პაატა დუშოს ძე

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან

ანანიძე ელენე ჯემალის ასული
ბოლქვაძე იოსებ მემედის ძე
დავითაძე ფრიდონ ვლადიმერის ძე
თებიძე სულიკო მურადის ძე
კონცელიძე შუქრი მევლუდის ძე
ლომაძე რევაზ ენვერის ძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ულენტი ქრისტინა ზაურის ასული
ფურცხვანიძე ელეონორა ნიკოლოზის ასული
ჯაყელი მანანა ირაკლის ასული

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 433 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი მსაჯულის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობა და ამ სასამართლოს მსაჯულებს თამარ მიხეილის ასულ **არველაძეს** და ციცინო გრიგოლის ასულ **ხვედელიძეს** გაუგრძელდეთ უფლებამოსილების ვადა გ. ბ. ტაბატაძის, დ. ბ. გველესიანისა და გ. უ. შეყლაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დამთავრებამდე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 434 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამირან ბაქარის ძე **ფრუიძე** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 435 „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ 1990 წლის 20 ივნისის კანონი „შრომითი (ალტერნატიული) სამსახურის შესახებ".

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 436 არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ

#### თავი I. **ძირითადი საფუძვლები**

**მუხლი 1.** კანონის მიზანი

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციის საფუძველზე რესპუბლიკის მოქალაქეს ეძლევა აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლება. ყველა მოქალაქე თანასწორი უფლებამოსილებით სარგებლობს და ერთნაირად პასუხისმგებელია კანონის წინაშე.

ეს საფუძვლები განსაზღვრავს არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურსა, როგორც აზრის თავისუფლად გამოხატვის, სინდისის, რწმენის უფლებასა და სამხედრო მოვალეობას შორის გონივრულ და ჰუმანურ კომპრომისს.

**მუხლი 2.** კანონმდებლობა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ (შემდგომში არასამხედრო სამსახური)

კანონმდებლობა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ შედგება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის წესის დროებითი დებულების", ამ კანონის და სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან, რომლებიც გამოიცემა ზემოხსენებული კანონების საფუძველზე.

**მუხლი 3.** არასამხედრო სამსახურის შინაარსი

არასამხედრო სამსახური არის საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქო სამსახური, რომელიც ცვლის საყოველთაო სამხედრო სამსახურს და ეყრდნობა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის დასაბუთებულ მოტივაციას სინდისის, რწმენის თავისუფლების საფუძველზე. ის არ ატარებს დასჯის ხასიათს.

არასამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავის არიდება დაუშვებელია.

არასამხედრო სამსახური თავისი ხასიათით უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურში არსებულ სიძნელეებს. მისი ხანგრძლივობა უნდა აღემატებოდეს საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობას.

არასამხედრო სამსახურში გაწვევას აწარმოებენ საქართველოს რესპუბლიკის რაიონებში (ქალაქებში) არსებული გამწვევი კომისიები საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.

მოქალაქეები, რომლებიც გადიან არასამხედრო სამსახურს და მათი ოჯახები სარგებლობენ საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისათვის დაწესებული შეღავათებით.

არასამხედრო სამსახურის ვადა მოქალაქეს ეთვლება საერთო და სპეციალურ შრომით სტაჟში. მის სოციალურ დაცვას არასამხედრო სამსახურში ყოფნისას უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობა.

**მუხლი 4**. არასამხედრო სამსახურში გასაგზავნი პირები

არასამხედრო სამსახურში მშვიდობიან პერიოდში გაიგზავნებიან ის პირები, რომლებსაც ეხებათ საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა, მაგრამ სინდისის თავისუფლების საფუძველზე უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურზე და წარმოადგენენ მიზეზის დამადასტურებელ საბუთებს.

უთანხმოებები ამ საკითხში წყდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

**მუხლი 5**. არასამხედრო სამსახურის შრომის სახეობები და მისი გავლის ადგილები

მოქალაქეებს არასამხედრო სამსახური შეუძლიათ გაიარონ სპეციალიზებულ ფორმირებებში, ჯგუფებში ან ინდივიდუალურად:

— ავარიულ-მაშველ, ეკოლოგიურ, ხანძარსაწინააღმდეგო ან სხვა სპეციალურ ფორმირებებში;

— სამოქალაქო დანიშნულების სამშენებლო, სარემონტო ორგანიზაციებსა და ობიექტებზე;

— ორგანიზაციებსა და ობიექტებზე, რომლებიც აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას;

— ქარხნებში ან ფაბრიკებში;

— კომუნალური სამსახურის დაწესებულებებში;

— ჯანდაცვის დაწესებულებებში და სხვა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით მოქალაქეები, რომლებიც გადიან არასამხედრო სამსახურს, შეიძლება გამოყენებული იქნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის, სეზონურ სამუშაოებზე მოსავლის აღების დროს და სხვა სამუშაოებზე რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

შრომის სახეობას და ადგილს, სადაც მოქალაქეებმა არასამხედრო სამსახური უნდა გაიარონ, ადგენენ სათანადო რესპუბლიკური ორგანოები მოთხოვნილებების მიხედვით. გამორიცხული უნდა იყოს კონკურენცია მოსახლეობის შრომით მოწყობასთან.

მოქალაქეს ხელზე ეძლევა დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია შრომის სახეობა და ადგილი, სადაც მან უნდა გაიაროს არასამხედრო სამსახური.

**მუხლი 6.** არასამხედრო სამსახურის გავლის ვადა

არასამხედრო სამსახურის გავლის ვადად დაწესდეს 36 თვე (უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის — 30 თვე).

არასამხედრო სამსახურის ვადის დასაწყისად ჩაითვალოს გაწვევის ადგილიდან მიღებულ საბუთში ნაჩვენები გაწვევის თარიღი. ამ თარიღიდან მოქალაქეს ეკისრება პასუხისმგებლობა არასამხედრო სამსახურისაგან თავის არიდებისათვის.

## თავი II. სამხედრო სამსახურის არასამხედრო სამსახურით შეცვლის თანმიმდევრობა

**მუხლი 7.** განცხადება სავალდებულო სამხედრო სამსახურის არასამხედრო სამსახურით შეცვლის შესახებ

მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას და აქვს მოტივირებული მიზეზი არ გაიაროს სამხედრო სამსახური, გაწვევამდე ექვსი თვით ადრე განცხადებით მიმართავს რაიონის (ქალაქის) გამწვევ კომისიას.

**მუხლი 8.** განცხადების განხილვა გამწვევი კომისიის მიერ

რაიონის (ქალაქის) გამწვევი კომისია შეისწავლის წვევამდელის პირად საქმეს, მოუსმენს მოწმეებს, მოიძიებს მასალებს, რომლებიც დაადასტურებენ წვევამდელის მიერ მოყვანილი არგუმენტის სისწორეს. განმცხადებელს უფლება აქვს დაესწროს კომისიის სხდომას და დაასაბუთოს თავისი მოსაზრება.

რაიონის (ქალაქის) გამწვევი კომისია ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში განიხილოს განცხადება და თავისი გადაწყვეტილება გააცნოს განმცხადებელს, რომელიც ამას დაადასტურებს პირადი ხელმოწერით. თუ კომისიას გადაწყვეტილების მისაღებად დასჭირდა დამატებითი მასალების მოძიება სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანოებიდან, განცხადების განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს 2 თვემდე.

კომისია გადაწყვეტილებას ღებულობს მის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით (სხდომას უნდა ესწრებოდეს კომისიის წევრების არანაკლებ 2/3).

თუ კომისია დააკმაყოფილებს განმცხადებლის მოთხოვნას, ის ჩაირიცხება არასამხედრო სამსახურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 9.** სადავო საკითხების გადაწყვეტა

პირს, რომელსაც უარი უთხრეს არასამხედრო სამსახურში გაწვევაზე, შეუძლია 10 დღის განმავლობაში სასამართლოში გაასაჩივროს ადგილობრივი გამწვევი კომისიის გადაწყვეტილება. სასამართლო ვალდებულია ერთი თვის ვადაში განიხილოს საკითხი და გამოიტანოს გადაწყვეტილება კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ან გაუქმების შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

არასამხედრო სამსახურის ორგანიზაცია და მისი კონტროლი ევალება საქართველოს მთავრობასთან არსებულ რესპუბლიკის გამწვევ კომისიას, რომელიც პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია რესპუბლიკის მთავრობის წინაშე.

## თავი III. **არასამხედრო სამსახურის გავლა**

**მუხლი 10.** მოქალაქეების გაგზავნა არასამხედრო სამსახურში

რაიონის (ქალაქის) გამწვევი კომისია წვევამდელს აფორმებს და აძლევს გაწვევის ფურცელს, სადაც აღნიშნული უნდა იყოს არასამხედრო სამსახურის გავლის ადგილი და იქ გამოცხადების თარიღი.

მოქალაქეები, რომლებიც გადიან არასამხედრო სამსახურს, პროფესიული მომზადებისათვის შეიძლება გაგზავნილ იქნენ შესაბამის სასწავლებელში. სწავლის დრო მათ ეთვლებათ არასამხედრო სამსახურად.

ადმინისტრაციას არა აქვს უფლება უარი უთხრას მიღებაზე მოქალაქეს, რომელიც საწარმოში გამოცხადდა გამწვევი კომისიის მიერ გაცემული გაწვევის საბუთით. თუ საწარმოს ადმინისტრაცია არ ეთანხმება გამწვევი კომისიის გადაწყვეტილებას, უნდა მიმართოს რესპუბლიკის გამწვევ კომისიას.

**მუხლი 11.** არასამხედრო სამსახურის გავლის წესი

არასამხედრო სამსახურის გავლის წესი განსაზღვრულია ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული დადგენილებებით.

**მუხლი 12.** იმ მოქალაქეთა უფლებები, რომლებიც გადიან არასამხედრო სამსახურს

მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო სამსახურს, სარგებლობს რესპუბლიკის კონსტიტუციით დაკანონებული ყველა უფლებით.

მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო სამსახურს, უნდა დაკმაყოფილდეს ბინით, უფასო სპეციალური ტანსაცმლით ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომლითაც სარგებლობენ სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფნი.

მოქალაქეს, რომელიც გადის არასამხედრო სამსახურს, არა აქვს უფლება იყოს ხელმძღვანელ ან მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე, აწარმოოს კერძო საქმიანობა, მოსთხოვოს ადმინისტრაციას უფრო მაღალი ხელფასით დაკმაყოფილება, მონაწილეობდეს გაფიცვებსა და მიტინგებში. ადმინისტრაციას არა აქვს უფლება გაათავისუფლოს ან გადაიყვანოს იგი სხვა სამსახურში, თუ ეს ადმინისტრაციის მიერ შეთანხმებული არ არის რესპუბლიკის გამწვევ კომისიასთან.

ბიბლიოთეკა

**მუხლი 13.** არასამხედრო სამსახურში მყოფ მოქალაქეთა შენახვისათვის საჭირო ხარჯები.

მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო სამსახურს, სახელმწიფოს კმაყოფაზეა. რესპუბლიკის გამწვევი კომისია არასამხედრო სამსახურში მყოფი მოქალაქეების გამოყენების თაობაზე დებს ხელშეკრულებას საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და უწყებებთან.

რესპუბლიკის მთავრობა ადგენს ხარჯთაღრიცხვას არასამხედრო სამსახურში მყოფი ერთი მოქალაქისათვის და ხარჯების რაოდენობას, რაც მას შრომის ასანაზღაურებლად ხელზე უნდა მიეცეს.

**მუხლი 14.** მოქალაქის პასუხისმგებლობა არასამხედრო სამსახურის გავლის დროს

მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო სამსახურს, პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონების მიხედვით. მასზე ვრცელდება კანონები, რომლებიც ეხება სამხედრო სავალდებულო სამსახურში და თადარიგში მყოფთ.

**მუხლი 15.** პასუხისმგებლობა არასამხედრო სამსახურისაგან თავის არიდებისათვის

არასამხედრო სამსახურისაგან თავის არიდება, სამსახურის შეწყვეტა, სამუშაო ადგილის მიტოვება საპატიო მიზეზის გარეშე, გაცდენა ან არგამოცხადება არასამხედრო სამსახურის გასავლელად დანიშვნის, გადაყვანის, მივლინებაში გაგზავნის, შვებულებიდან ან საავადმყოფოდან დაბრუნების დროს (შვებულება არ უნდა აღემატებოდეს 10 დღე-ღამეს წელიწადში ერთხელ) ისჯება გაცდენილი დღეების გაორმაგებით. ამ გადაწყვეტილების მიღების და გაფორმების უფლება აქვს იმ საწარმოს ან ორგანიზაციის ადმინისტრაციას, სადაც მოქალაქე გადის არასამხედრო სამსახურს.

იგივე ქმედება ან არასამხედრო სამსახურის გასავლელად წაუსვლელობა, ,რაც გაგრძელდება 10 დღე-ღამეზე მეტ ხანს, ან ჩადენილია მეორედ 1 წლის განმავლობაში და აღემატება საერთო ჯამში 6 დღე-ღამეს, ისჯება 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

შრომითი დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის, უყაირათო მუშაობისათვის, მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულებისათვის ადმინისტრაციას შეუძლია მოქალაქეს არასამხედრო სამსახურის ვადა გაუხანგრძლივოს 3 თვით.

არასამხედრო სამსახურისაგან თავის არიდების მცდელობა ავადმყოფობის სიმულაციით (მოგონებით), ყალბი დოკუმენტების წარდგენით, სიცრუით ან არასამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმა იწვევს იმავე სასჯელს, რაც სამხედრო სავალდებულო სამსახურისაგან თავის არიდებისათვის არის დადგენილი.

**მუხლი 16.** არასამხედრო სამსახურის დამთავრება ან ვადამდე ადრე შეწყვეტა.

მოქალაქეები, რომლებსაც გაუვიდათ არასამხედრო სამსახურისათვის დაწესებული ვადა, სამსახურიდან თავისუფლდებიან და ჩაირიცხებიან არასამხედრო სამსახურის თადარიგში. ისინი ვალდებულნი არიან 5 დღის ვადაში გამოცხად-

ეროვნული

დნენ შესაბამისი რაიონის (ქალაქის) გამწვევ კომისიაში აღრიცხვაზე დასადგომად. ამის შესახებ გამწვევი კომისიის მიერ კეთდება სათანადო ჩანაწერი სამხედრო ბილეთში.

მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო სამსახურს, შესაძლებელია ვადაზე ადრე იქნეს დათხოვნილი იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ვადაზე ადრე ითხოვენ სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან, ან შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს არასამხედრო სამსახურიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურში პირადი განცხადების საფუძველზე გაწვევიდან 1 წლის განმავლობაში. არასამხედრო სამსახურიდან სამხედრო სამსახურში გადაყვანისას არასამხედრო სამსახურის უკვე გავლილი ვადა სამხედრო სამსახურად არ ჩაითვლება

**მუხლი 17.** სამსახური თადარიგში

მოქალაქე, რომელმაც მოიხადა არასამხედრო სამსახური, თადარიგში ირიცხება 50 წლის ასაკამდე. თადარიგში ყოფნის დროს პიროვნება გადის სამედიცინო შემოწმებას წელიწადში ერთხელ.

არასამხედრო სამსახურის თადარიგში მყოფი მოქალაქეები მთავრობის დადგენილებით შესაძლებელია გამოძახებულ იქნენ შეკრებებზე არაუმეტეს 3 თვის ვადისა. თადარიგში ყოფნის დროს შეკრების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 437 მოქალაქის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დროებითი დებულების სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს მოქალაქის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დროებითი დებულება.
2. ეს დებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის
დადგენილებით

## 438 მოქალაქის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დროებითი

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მოქალაქის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დროებითი დებულება არის ნორმატიული აქტი, რომელიც გამომდინარეობს „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" (შემდგომში არასამხედრო სამსახური) საქართველოს რესპუბლიკის კანონიდან და არეგულირებს ამ კანონით გათვალისწინებულ არასამხედრო სამსახურის გავლის წესსა და პირობებს.

### I. ზოგადი დებულებანი

I. არასამხედრო სამსახური საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახურია, რომელსაც არა აქვს დასჯის ხასიათი, ცვლის საყოველთაო სამხედრო სამსახურს და ეყრდნობა დასაბუთებულ მოტივაციას.

2. არასამხედრო სამსახურის გავლის დროს მოქალაქეს არა აქვს უფლება დაიკავოს ხელმძღვანელი, მატერიალურად პასუხსაგები თანამდებობა ან მოითხოვოს ხელფასის გაზრდა, მიიღოს მონაწილეობა გაფიცვებსა და მიტინგებში, ეწეოდეს კერძო სამეწარმეო საქმიანობას.

3. არასამხედრო სამსახური იწყება გაწვევის დღიდან და მთავრდება კანონით დადგენილ ვადაში. არასამხედრო სამსახურის ვადამდე ადრე შეწყვეტა ან არასამხედრო სამსახურიდან სამხედრო სამსახურში გადასვლა ხდება კანონის საფუძველზე.

4. მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო სამსახურს, სარგებლობს ყველა იმ მოქალაქეობრივი უფლებით, რაც დაკანონებულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით.

5. თუ მოქალაქეს არასამხედრო სამსახურში განწესების ადგილას არა აქვს ბინა, სამუშაო ადგილზე ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს იგი საცხოვრებელი ადგილითა და კვებით.

6. არასამხედრო სამსახურში მყოფი მოქალაქის გადაყვანა ერთი ადგილიდან ან თანამდებობიდან მეორე ადგილზე ან თანამდებობაზე ადმინისტრაციას შეუძლია მხოლოდ რესპუბლიკის გამწვევ კომისიასთან შეთანხმებით.

7. მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო სამსახურს, სოციალურად დაცულია საქართველოს რესპუბლიკის კანონების საფუძველზე.

8. არასამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ მოქალაქე ვალდებულია 5 დღის ვადაში გამოცხადდეს სათანადო გამწვევ კომისიაში და დადგეს აღრიცხვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. რესპუბლიკის მასშტაბით არასამხედრო სამსახურის გავლის ორგანიზაცია და მისი კონტროლი ევალება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან შექმნილ რესპუბლიკის გამწვევ კომისიას, რაიონებში (ქალაქებში) კი — პრეფექტურასთან (საკრებულოსთან) არსებულ გამწვევ კომისიებს (სამხედრო სექტორებს).

## II. რაიონული (ქალაქის) გამწვევი კომისია

1. მოქალაქეს არასამხედრო სამსახურში გაიწვევს რაიონის (ქალაქის) გამწვევი კომისია.

2. მოქალაქე, რომელიც მისთვის მიუღებლად მიიჩნევს სამხედრო სამსახურს, ვალდებულია გაწვევამდე 6 თვით ადრე განცხადებით მიმართოს რაიონის (ქალაქის) გამწვევ კომისიას.

3. გამწვევი კომისია ვალდებულია ერთი თვის ვადაში განიხილოს მოქალაქის განცხადება.

4. თუ კომისიას გადაწყვეტილების მისაღებად დასჭირდა დამატებითი მასალების მოძიება სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა ორგანოებში, განცხადების განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს 2 თვემდე.

5. გამწვევი კომისია გადაწყვეტილებას ღებულობს მისი წევრების ხმის უმრავლესობით, თუ კომისიის სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ 2/3.

6. გამწვევი კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საექიმო კომისიის მუშაობას.

7. გამწვევი კომისია უზრუნველყოფს მოქალაქის გაგზავნას არასამხედრო სამსახურის გასავლელად რესპუბლიკის გამწვევი კომისიის მიერ მითითებული სამუშაო ადგილების მიხედვით.

8. გამწვევი კომისია ვალდებულია კონტროლი გაუწიოს მოქალაქის მიერ არასამხედრო სამსახურის გავლას.

9. რაიონის (ქალაქის) გამწვევი კომისია ქმნის მოქალაქის პირად საქმეს, აწარმოებს კომისიის სხდომათა ოქმებს, რომელთაც ხელს აწერენ გამწვევი კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები (არანაკლებ კომისიის საერთო წევრთა 2/3) და გამწვევი კომისიის მდივანი.

10. გამწვევი კომისიის გადაწყვეტილება პირადად ეცნობება მოქალაქეს.

11. ოქმების წიგნში ჩაიწერება მოქალაქის სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი, მისამართი, კომისიის გადაწყვეტილება.

წვევამდელის პირად საქმეში შედის:

მისი განცხადება;

სააღრიცხვო ბარათი;

ჯანმრთელობის ცნობა;

ავტობიოგრაფია;

სამხედრო სამსახურზე უარის თქმის მოტივაციის საბუთები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა სახლმმართველობიდან ოჯახის შემადგენლობის შესახებ;
ოთხი ცალი ფოტოსურათი (3×4).

### III. რესპუბლიკის გამწვევი კომისია

რესპუბლიკის გამწვევი კომისია:

ხელმძღვანელობს რესპუბლიკაში მოქალაქეთა მიერ არასამხედრო სამსახურის გავლის ორგანიზაციას და კონტროლს უწევს რაიონების (ქალაქების) გამწვევ კომისიათა [მუშაობას;

ადგენს შრომის სახეობას და ადგილს, სადაც უნდა გაიაროს მოქალაქემ არასამხედრო სამსახური, და ანაწილებს არასამხედრო სამსახურის გავლის ადგილებს.

იხილავს რაიონის (ქალაქის) გამწვევი კომისიებიდან შემოსულ განცხადებებსა და მოქალაქეთა საჩივრებს;

იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

წყვეტს არასამხედრო სამსახურის ვადამდე შეწყვეტის ან არასამხედრო სამსახურიდან სამხედრო სამსახურში გადაყვანის საკითხს;

აწარმოებს რესპუბლიკის გამწვევი კომისიის სხდომათა ოქმებს;

საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროები და დეპარტამენტები აზუსტებენ და დროულად აწვდიან რესპუბლიკის გამწვევ კომისიას სათანადო მონაცემებს არასამხედრო სამსახურისათვის საჭირო მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე ქმნის შესაბამის გამწვევ კომისიას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის გამწვევი კომისიის დავალებათა შესაბამისად ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონითა და დებულებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 439 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 38-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ უფლებას უზრუნველყოფს მეურნეობის სისტემა, საწარმოო ძალების ზრდა, უფასო და ფასიანი პროფესიული სწავლება, შრომითი კვალიფიკაციის ამაღლება და ახალ სპეციალობათა სწავლება პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი მოწყობის სისტემათა განვითარება".

2. 43-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო და ფასიანი სწავლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების ფართოდ განვითრება ცხოვრებასა და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე; დაუსწრებელი და საღამოს სწავლების განვითარება; მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა; სკოლაში დედაენაზე სწავლის შესაძლებლობა.

II. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 440 „საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ" დებულების სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ".

2. ეს დებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის
დადგენილებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დებულება

**441** **საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ**

1. საქართველოს რესპუბლიკაში ნებადართულია დაარსდეს ფასიანი სასწავლებლები, სახელმწიფოს მიერ აღიარებული სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი, ატესტატი) გაცემის უფლებით;

2. ფასიანი სასწავლებლის დაარსების უფლება აქვთ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სასწავლებლებში ფასიანი სწავლების შემოღება დაუშვებელია;

3. ფასიანი სასწავლებელი რეგისტრაციაში ტარდება არსებული კანონმდებლობისა და განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე;

4. ლიცენზიის მიღებისათვის აუცილებელია, რომ ფასიანი სასწავლებლის სასწავლო გეგმა, პროგრამა, პედაგოგიური პერსონალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს;

5. ფასიან სასწავლებელს **უფლება აქვს:**

ა) შეადგინოს სასწავლო გეგმა და პროგრამა;

ბ) დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;

გ) შექმნას დამხმარე სამეურნეო, სასწავლო თუ სამეცნიერო ქვედანაყოფები:

დ) დააწესოს პედაგოგიური და დამხმარე პერსონალისათვის ხელფასის ოდენობა ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე;

ე) განსაზღვროს სასწავლებელში მსმენელთა მიღების წესები, სწავლებისათვის შესატანი თანხის ოდენობა და მისი შეტანის პირობები;

ვ) საგამოცდო კომისიის წარმატებით გავლის შემთხვევაში სასწავლებლის კურსდამთავრებულს მიანიჭოს სათანადო კვალიფიკაცია და გასცეს შესაბამისი მოწმობა.

6. ფასიან სასწავლებლებში სწავლების დაუსწრებელი ფორმა დაუშვებელია.

7. ფასიანი სასწავლებლის ურთიერთობა მსმენელებთან განისაზღვრება სასწავლებლის წესდებითა და მსმენელებთან ან მათ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებით;

8. ფასიანი სასწავლებლის მსმენელები და თანამშრომლები სარგებლობენ სახელმწიფო სასწავლებლისათვის დადგენილი ყველა შეღავათით;

9. ფასიანი სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად;

10. ფასიანი სასწავლებლის ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 442 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მეორე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### თ ა ვ ი 2

### ეკონომიკური სისტემა

**მუხლი 10.** საქართველოს რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, აქვს საკუთარი ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს დამოუკიდებლად.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძველია საბაზრო მეურნეობა, რომლის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია თავისუფალი შრომა და სოციალური უფლებების გარანტია, საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება, მეწარმეობა და კონკურენცია.

ეკონომიკური ურთიერთობები მოქალაქესა და სახელმწიფოს, მომხმარებელსა და მწარმოებელს, მომუშავესა და დამქირავებელს შორის დამყარებულია პარტნიორობის პრინციპებზე.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემა ეფუძნება საკუთრების შემდეგ ფორმებს:

— კერძო საკუთრება;

— კოლექტიური საკუთრება;

— სახელმწიფო საკუთრება.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნებადართულია საზღვარგარეთის ქვეყნების, მათი ფიზიკური და იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების საკუთრება.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების კუთვნილი საწარმოები შეიძლება შეიქმნან და მოქმედებდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმის განვითარება ემსახურება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის ზრდას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არის პიროვნების თავისუფლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა აღიარებულია თანასწორუფლებიანად, დაცულია საქართველოს რესპუბლიკის კანონით და ხელშეუვალია.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებზე მათი მესაკუთრის მიუხედავად ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს.

საქართველოს რესპუბლიკაში ფიზიკური და იურიდიული პირები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებზე რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე. სახელმწიფო უქმნის მათ საწარმოო, სამეურნეო, საფინანსო და კომერციული დამოუკიდებლობის, კონკურენციის თანაბარ პირობებს, აღკვეთს მონოპოლიზმს.

**მუხლი 11.** მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებაა შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსები.

საქართველოს რესპუბლიკას მისი სანაპიროს მიმდებარე შავი ზღვის ეკონომიკურ ზონაში აქვს საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

ბუნებრივ სიმდიდრესთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ სიმდიდრეს შეადგენს წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, სავაჭრო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სხვა საწარმოების ქონება, ძირითადი საქალაქო საბინაო ფონდი, აგრეთვე რესპუბლიკის ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება.

**მუხლი 12.** ამოღებულია.

**მუხლი 13.** მოქალაქის საკუთრებაში შეიძლება იმყოფებოდეს მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლები, ბინები, აგარაკები, საბაღე სახლები, საოჯახო მეურნეობისა და პირადი მოხმარების ნივთები, ძვირფასეულობა, ფულადი სახსრები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, საწარმოები, შენობა-ნაგებობანი, დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, საწარმოო და სამომხმარებლო დანიშნულების სხვა ქონება.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განისაზღვრება იმ ქონების ნუსხა, რომლის ფლობა, სარგებლობა და განკარგვა მოქალაქეთათვის აკრძალული ან შეზღუდულია.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის საკუთრების წარმოქმნა და ზრდა ხდება წარმოებაში მიღებული შემოსავლით, სამეწარმეო საქმიანობით, საკუთარი მეურნეობის წარმართვის შედეგად, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდე-

ბისაგან მიღებული დივიდენდებით, მემკვიდრეობით მიღებული ქონებით ან სხვა ისეთი წყაროებით, რომლებიც კანონით არ არის აკრძალული.

**მუხლი 14** ამოღებულია.

**მუხლი 15** ამოღებულია.

**მუხლი 16** ამოღებულია.

**მუხლი 17** ამოღებულია.

**მუხლი 18.** ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვის და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სისუფთავის შენარჩუნების, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლებისა და ადამიანის გარემომცველი ბუნების გაუმჯობესების მიზნით.

II. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 443 „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის 5 ივლისიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 444 საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს აქვს საკუთარი ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს დამოუკიდებლად.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემა ეფუძნება საბაზრო ურთიერთობების პრინციპებს. საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სოციალურ-ეკონომიკური- განვითარების პროცესებს წარმართავენ „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ხორციელდება ურთიერთხელსაყრელი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ სისტემას არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი და მის შესაბამისად შემუშავებული სხვა საკანონმდებლო აქტები.

**მუხლი 1**. ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპები

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების განმსაზღვრელი პრინციპებია: რესპუბლიკის სუვერენობა, საკუთრების ფორმების მრავალსახეობა და სამეურნეო კომპლექსის მთლიანობა, საკუთრების ყველა ფორმა აღიარებული თანასწორუფლებიანად, დაცულია საქართველოს რესპუბლიკის კანონით და ხელშეუვალია.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებზე მათი მესაკუთრის მიუხედავად, ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემა ფუნქციონირებს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ურთიერთშეხამების საფუძველზე.

**მუხლი 2**. ეკონომიკური სისტემის ძირითადი მიზნები

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის მიზანია ეროვნული ინტერესების შესაბამისად რესპუბლიკის მეურნეობის დინამიკური და კომპლექსური განვითარების გზით მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, რესპუბლიკის ყველა მოქალაქის ცხოვრების დონის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური გარანტიების შექმნის, პიროვნების შემოქმედებითი თვითგამოვლენის, საქმიანობის თავისუფალი არჩევის, შრომისა და თავისუფალი სა-

შეწარმეო საქმიანობის პრესტიჟულობის ამაღლების, ინტელექტუალური პოტენციალის გაღრმავებისა და სრულად რეალიზების პირობების შექმნა.

**მუხლი 3.** საკუთრების ფორმები

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემა ეფუძნება საკუთრების შემდეგ ფორმებს:

კერძო საკუთრება;

კოლექტიური საკუთრება;

სახელმწიფო საკუთრება.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაშვებულია საზღვარგარეთის ქვეყნების, მათი ფიზიკური და იურიდიული პირების და საერთაშორისო ორგანიზაციების საკუთრება.

საკუთრებით ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

**მუხლი 4.** სამეურნეო კომპლექსი

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ერთობლიობა ქმნის რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსს, რომლის ფუნქციონირებასაც საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად აწესრიგებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსში შედის აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების თანხმობით მის ტერიტორიაზე მოქმედი საზღვარგარეთის ქვეყნების, მათი ფიზიკური და იურიდიული პირების და საერთაშორისო ორგანიზაციების კუთვნილი საწარმოები.

საქართველოს რესპუბლიკის, მისი ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი საწარმოები შეიძლება შეიქმნან და მოქმედებდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში, ამ ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**მუხლი 5.** ეკონომიკური საზღვრები და საბაჟო სამსახური

სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკა შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ადგენს რესპუბლიკის ეკონომიკურ საზღვრებს, ქმნის საბაჟო სამსახურს და განსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკას.

**მუხლი 6.** ეკონომიკური ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან

საქართველოს რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, თავის ბუნებრივ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და კულტურულ შესაძლებლობათა ფარგლებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან ამყარებს ეკონომიკურ ურთიერთობებს ურთიერთხელსაყრელი საქონელგაცვლის და სამეურნეო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებით, თანასწორუფლებიანი პარტნიორობის პრინციპების შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ხელს უწყობენ უცხოეთის ფირმებთან პირდაპირი კავშირების დამყარებაში, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე უქმნიან მათ საქმიანობის ხელსაყრელ პირობებს.

**მუხლი 7.** ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობა ეკონომიკის სფეროში

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები პასუხისმგებელი არიან რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური გარანტიების, სოციალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, ეროვნულ-კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისა და განვითარების, ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და რაციონალურად გამოყენებისათვის, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებთან სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე.

**მუხლი 8.** ეკონომიკის რეგულირება და სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკა რეგულირდება საბაზრო ურთიერთობების პრინციპების მიხედვით რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკაში ფიზიკური და იურიდიული პირები თავიანთ საქმიანობას აგებენ თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის პრინციპებზე რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე. სახელმწიფო მათ უქმნის საწარმოო, სამეურნეო, საფინანსო კომერციული დამოუკიდებლობისა და კონკურენციის თანაბარ პირობებს, ახორციელებს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას და ხელს უწყობს სხვადასხვა სამეურნეო ფორმირებების შექმნას. რესპუბლიკაში ფიზიკური და იურიდიული პირები თავიანთ საქმიანობაში მთლიანად დამოუკიდებელნი არიან და სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მისი შედეგებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური და იურიდიული პირების ურთიერთობას სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკაში წარმოების საშუალებების, მოხმარების საგნებისა და მომსახურების, ინტელექტუალური სიახლეების (ინოვაციის) სამუშაო ძალის, ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის მიმოქცევის სფეროში საბაზრო ურთიერთობები **მოქმედებს.**

ფიზიკური და იურიდიული პირების ისეთი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ეკოლოგიურ ინტერესებს, აღიკვეთება კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 9.** მეურნეობის სახელმწიფო მართვის ტერიტორიული ორგანიზაცია

საქართველოს რესპუბლიკაში მეურნეობის სახელმწიფო მართვის ტერიტორიული სისტემის ძირეული რგოლია ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური მართვა ხორციელდება ადგილობრივი მმართველობის პრინციპების საფუძველზე ადგილობრივი (მუნიციპალური) საკუთრების ყოველმხრივი განმტკიცებისა და მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ინტერესების გათვალისწინებით, რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო პირობების, ისტორიული ტრადიციების, შრომითი ჩვევების, მეურნეობის სპეციალიზაციის მიმართულებებისა და დონის შესაბამისად.

**მუხლი 10.** სოციალური გარანტიების სისტემა

საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებს მინიმალური სოციალური გარანტიების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ქმნის შრომისა და ცხოვრების ეკონომიკურად, სოციალურად, ეკოლოგიურად აუცილებელ პირობებს.

სოციალურ გარანტიებს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფენ სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოები, სამეურნეო ამხანაგობები და საზოგადოებები, სხვა ტიპის საწარმოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძო მესაკუთრენი.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწესებენ შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებს და ოდენობას, განსაზღვრავენ სამუშაო დროისა და დასვენების რეჟიმს.

საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების წესსა და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი საარსებო მინიმუმიდან გამომდინარე დგინდება შრომის ანაზღაურების მხოლოდ მინიმალური განაკვეთები და სარგოები. შრომის ანაზღაურების მაქსიმალური დონე არ იზღუდება.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უმუშევრობის შემთხვევაში აქვთ მატერიალური დახმარებისა და პროფესიული გადამზადების გარანტია.

საქართველოს რესპუბლიკაში ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია სახელმწიფო სოციალური დაზღვევა და სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა. სოციალური უზრუნველყოფა ხორციელდება ხანდაზმულობის, უმუშევრობის, ინვალიდობის, ავადმყოფობის, საწარმოო ტრამვის, მარჩენალის დაკარგვის გამო, მარტოხელა დედები და მრავალშვილიანი ოჯახები სოციალურად და ეკონომიკურად დაცული არიან.

პენსიის ოდენობა ინვალიდობის, მოხუცებულობის ან მარჩენალის დაკარგვის გამო უნდა შესაბამებოდეს ინვალიდის, მოხუცებულის ან მარჩენალის შრომით წვლილს და საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს.

**მუხლი 11.** მომხმარებელთა ინტერესების დაცვა

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აწესებს სახელმწიფო შეზღუდვებისა და შეღავათების სისტემას, კონტროლს უწევს პროდუქციის უვნებლობასა და საქონლის ხარისხს, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვრულ ფასებს პირველი მოთხოვნილების ცალკეულ საგნებზე; ხელს უწყობს მომხმარებელთა საზოგადოებების შექმნას.

**მუხლი 12.** დემოგრაფიული პროცესების მართვა

საქართველოს რესპუბლიკაში მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმიზაციის, გარე და შიგა რესპუბლიკური მიგრაციისა და განსახლების რაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად ხორციელდება სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა.

რესპუბლიკის მთავრობა დემოგრაფიული ინვესტიციისათვის გამოყოფს საჭირო სახსრებს, კონტროლს უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, დემოგრაფიული საზოგადოებების საქმიანობას დემოგრაფიული პრობლემების გადასაწყვეტად.

**მუხლი 13.** ბუნებათსარგებლობა და გარემოს დაცვა

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განისაზღვრება გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის წესი, მოთხოვნები და შეზღუდვები საწარმოთა განვითარებასა და განლაგებაზე (მათ შორის იმ საწარმოთა საქმიანობის ან მშენებლობის შეჩერების ან დახურვის წესი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარემოს), ბუნებათსარგებლობის ლიმიტები და ნორმატივები, ბუნებრივი რესურსების კომპლექსური და ეფექტიანი გამოყენების მაჩვენებლები.

**მუხლი 14.** ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად:

შეიმუშავებენ სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პროგნოზებს, პროგრამებს და პროექტებს, რომლებშიც განისაზღვრება საერთო-რესპუბლიკური სტრატეგიული ეკონომიკური ამოცანები, უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური, დარგთაშორისი და ტერიტორიული პროპორციები, დემოგრაფიული, სტრუქტურული, ინვესტიციური, ტექნიკური და ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებები.

არეგულირებენ საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობას სახელმწიფოსთან, აგრეთვე საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგახიზაციებს, გაერთიანებებს, ფირმებს, ბანკებს შორის ურთიერთობას უპირატესად ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით (გადასახადები, კრედიტები, ბანკის პროცენტები, ინვესტიციები და სახელმწიფო კონტრაქტები, ანარიცხები მიზნობრივი ფონდებიდან და სხვა).

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების მიზნით გამოყოფენ სათანადო სუბსიდიებს ცალკეული დარგებისა და რეგიონების პრიორიტეტული უზრუნველყოფისათვის;

უზრუნველყოფენ შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და შრომის დაცვის სათანადო პირობების შექმნას;

ქმნიან მოსახლეობის, საწარმოებისა და ორგანიზაციების სტიქიური უბედურებისაგან, საწარმოო ავარიებისა და სხვა ექსტრემალური შემთხვევებისაგან დაცვის და მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა სათანადო სისტემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 15.** საბანკო საქმიანობა და ფულის მიმოქცევა

საქართველოს რესპუბლიკა ერთიან ფულად-საკრედიტო სახელმწიფო პოლიტიკას დამოუკიდებლად ახორციელებს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკაში იქმნება საკუთარი საბანკო-საკრედიტო სისტემა (ქართული ფულის შემოღებით), რომელიც მოიცავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო (ეროვნულ) ბანკს, კომერციულ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო (ეროვნული) ბანკი ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და მის საქმიანობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობა

**მუხლი 16.** ფასწარმოქმნა

საქართველოს რესპუბლიკა განსაზღვრავს და ახორციელებს ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკას, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე აწესრიგებს საქონლის ფასებსა და მომსახურების ტარიფებს, ახორციელებს მათზე კონტროლს, ატარებს ანტიმონოპოლიურ და საბაზრო ურთიერთობათა ნორმალიზაციის სხვა ღონისძიებებს.

**მუხლი 17.** საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემა შედგება საქართველოს რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისაგან. ამ ბიუჯეტების შემოსავლები ყალიბდება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დაწესებული გადასახადების, მოსაკრებლებისა და სავალდებულო გადასახდელებისაგან.

საქართველოს რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების საერთო წესი, აგრეთვე მათი ურთიერთდამოკიდებულება განისაზღვრება საბიუჯეტო უფლებების, გადასახადებისა და ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის გამგებლობაშია:

საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება;

საქართველოს რესპუბლიკაში საგადასახადო სისტემის ორგანიზაცია, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საერთო-სახელმწიფო გადასახადის, მოსაკრებლისა და სავალდებულო გადასახდელის დაწესება.

ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში დააწესონ სხვადასხვა სახის ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, მათი დაბეგვრის განაკვეთები, წესი და შეღავათები.

საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების ნუსხისა და ხარჯების, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკებისათვის და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის სუბვენციების მისაცემად განკუთვნილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯების სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისას — ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

(28 ივნისი)

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 445 „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 28 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 446 „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 28 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 447 „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონის „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 28 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 448 საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის, ბანკებისა და საბანკო საქმიანობის, ფულადი სისტემისა და ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის“, „საქართველოს რესპუბლიკის ბანკებისა და საბანკო საქმიანობის“, „საქართველოს რესპუბლიკის ფულადი სისტემის“ და „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონები მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.
2. კანონების პროექტები გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 28 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 449 ადამიანის მოტაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

ბოლო ხანს გავრცელდა საშიში დანაშაული — ადამიანის მოტაცება დაზარალებულისა და მისი ახლობლებისაგან დიდი ოდენობით ფულის გამოძალვის მიზნით, რაც მორალურ და მატერიალურ ზიანს აყენებს ადამიანებს, იწვევს საზოგადოებრიობის სამართლიან აღშფოთებასა და გულისწყრომას. ამ მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 133-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 133.** ადამიანის მოტაცება ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთა

ადამიანის მოტაცება ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთა, ჩადენილი ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და გასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, ან გასახლების გარეშე“.

2. 8[1] მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „(117-ე მუხლი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ადამიანის მოტაცება (133-ე მუხლი)“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 450 საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 208¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 208¹**. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის ან სახალხო რაზმელის შეურაცხყოფა

შეურაცხყოფა მილიციის მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის ან სახალხო რაზმელისა დაკისრებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებისას —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე".

2. 209-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„მიცვალებულის დასაფლავებაზე უარის თქმით ან მიცვალებულის საფლავიდან ამოღებით სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან თანამდებობის პირების იძულება შეასრულონ რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავონ რაიმე მოქმედების შესრულებისაგან —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე".

3. 238-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 238.** იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ ტარება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, შეძენა, დამზადება ან გასაღება

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა სათანადო ნებართვის გარეშე შენახვა—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა სათანადო ნებართვის გარეშე შეძენა ან ტარება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ გადაგზავნა, გადაზიდვა, დამზადება ან გასაღება —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, შეძენა, დამზადება ან გასაღება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

**შენიშვნა:** პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ფეთქებადი ნივთიერებები, რომლებიც მას სათანადო ნებართვის გარეშე ჰქონდა, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

ხანჯლის, ფინური დანის ან სხვაგვარი ცივი იარაღის სათანადო ნებართვის გარეშე ტარება, დამზადება ან გასაღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოქმედება დაკავშირებულია რეწვასთან, სამსახურთან ან საყოფაცხოვრებო პირობებთან, აგრეთვე როდესაც ეს იარაღი ეროვნული ტანსაცმლის სამკაულს წარმოადგენს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე".

4. $242^3$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი $242^3$.** სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება

სატრანსპორტო კომუნიკაციების განზრახ ბლოკირება დაბრკოლებების, საგუშაგოების მოწყობის გზით ან სხვა ხერხით, რამაც შეაფერხა ან შეეძლო გამოეწვია რკინიგზის, საჰაერო, წყლის, საავტომობილო და მაგისტრალური მილსადენი ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის შეფერხება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

იგივე მოქმედება, რასაც თან სდევს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა, ან ჩადენილია განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან დაკავშირებულია ტვირთის, ბარგის უკანონო გასინჯვასთან, ან დოკუმენტების შემოწმებასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევა, ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე".

5. $8^1$ მუხლში სიტყვების „228-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები" შემდეგ დაემატოს სიტყვები „იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ ტარება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, შეძენა, დამზადება ან გასაღება (228-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)".

6. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტსა და $54^1$ მუხლის მესამე პუნქტში სიტყვების „228-ე მუხლის მესამე ნაწილი" შემდეგ დაემატოს სიტყვები „იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო ტარება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, შეძენა, დამზადება ან გასაღება (238-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)".

II. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 421) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 27-ე და 122-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 27.** ჯარიმა

მოქალაქეებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო დაკისრებული ჯარიმა, როგორც წესი, არ შეიძლება აღემატებოდეს ათ მანეთს, ხოლო თანამდებობის პირთათვის — ორმოცდაათ მანეთს.

მოქალაქეებისა და თანამდებობის პირებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო დაკისრებული ჯარიმა არ შეიძლება იყოს ერთ მანეთზე ნაკლები, თუ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი არ არის სხვა მინიმალური ოდენობა.

ცალკეულ სახეობათა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობისას საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ჯარიმა ათი ათას მანეთამდე.

გამონაკლის შემთხვევებში საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებით და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების განსაკუთრებული საჭიროების გამო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ამ მუხლით გათვალისწინებულზე მეტი ოდენობის ჯარიმა“.

**„მუხლი 122.** სატრანსპორტო საშუალებათა მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე

სატრანსპორტო საშუალებათა მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე ან სხვისი, ან შენიღბული, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნებით —

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციას.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც მართავდა სხვისი საკუთრების სატრანსპორტო საშუალებას, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთი ათასი მანეთიდან ათი ათას მანეთამდე“.

2. 208-ე და 279-ე მუხლებში სიტყვები „122-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „122-ე მუხლით“.

3. 209-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და მეორე ნაწილის მეორე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „122-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

4. 262-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „122-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „122-ე მუხლით“.

5. 295-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „122-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „122-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 451 ქ. ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გამოცხადდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე 1991 წლის 28 ივნისის 22.00 საათიდან ორი თვის ვადით.

კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00-დან 7.00 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 28 ივნისი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## მ ი მ ა რ თ ვ ა

## საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოსადმი

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, მოაწყო მრავალპარტიული არჩევნები, რის შედეგადაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული ძალები. მათი ძალისხმევით 1991 წლის 9 აპრილს აღდგენილ იქნა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. აღნიშნული მოვლენებისადმი საბჭოთა ოფიციალური პრესის დამოკიდებულება ცალსახად მტრული იყო. კიდევ უფრო გაამწვავებული ხასიათი მიიღო 1991 წლის 26 მაისის შემდეგ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ აირჩია რესპუბლიკის პრეზიდენტი. ამის მკაფიო დასტურია საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ბეჭდვით ორგანოში, გაზეთ „იზვესტიის" 1991 წლის 12 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილი „საქართველო, 1991 წლის ზაფხული" არის არა მარტო სიყალბის, არამედ მთელი საქართველოსა და მისი კანონიერი პრეზიდენტის აშკარა შეურაცხყოფა. სწორედ ამის გამო გამომცემლობა „სამშობლოს" მუშებმა უარი თქვეს იზვესტიის" დაბეჭდვაზე. ჩვენის მხრივ გამოვთქვამთ მკაცრ პროტესტს და მოგიწოდებთ ხელი აიღოთ ცივილიზებული საზოგადოებისათვის შეუფერებელ მსგავს მოქმედებაზე. სადავო არ უნდა იყოს, რომ პრესა ღვარძლსა და შფოთს კი არ უნდა თესავდეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში, არამედ პირიქით, ჰუმანისტური მიზანდასახულობით იღწვოდეს ამ ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

თბილისი 1991 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

ქართველ ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც 1918-1921 წლებში არსებობდა, მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ და ერთა ლიგამაც აღიარა. ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსირებულმა ქვეყანამ კვლავ გამოხატა მტკიცე ნება აღიდგინოს 70 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობა. საქართველოში მცხოვრებმა ხალხებმა თავიანთი ნება-სურვილი მკაფიოდ გამოხატეს 1990 წლის 28 ოქტომბერს გამართულ უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ არჩევნებში, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში და არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირის ისტორიაში 1991 წლის 26 მაისს პირველად გამართულ პრეზიდენტის საყოველთაო, პირდაპირ არჩევნებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, აღასრულა რა ხალხის ნება, 1991 წლის 9 აპრილის აქტით იურიდიულად აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და დაადგა მისი ფაქტობრივად აღდგენის გზას.

საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ისწრაფვის მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ადგილის დამკვიდრებისაკენ, აღიარებს საერთაშორისო სამართლის პრიმატს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და გამოთქვამს მზადყოფნას უმოკლეს ვადაში შეუერთდეს საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს კონვენციებს, დეკლარაციებს, პაქტებს, მოახდინოს მათი რატიფიკაცია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა მხარი დაუჭიროთ საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და ამით ხელი შეუწყოთ ქვეყანაში დემოკრატიისა და სტაბილური სიტუაციის დამკვიდრებას. თქვენი მხარდაჭერის მკაფიო გამოვლინება იქნება საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიწვევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალმხრივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო**

თბილისი, 1991 წლის 28 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## სხდომები

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის 7 ივნისს გამართულ მორიგ სხდომაზე ხალხის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დადო საქართველოს მიერ არჩეული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზის ერთგულების ფიცი. დეპუტატებმა ერთხმად ცნეს მისი, როგორც სახელმწიფოს სრულუფლებიანი მეთაურის უფლებამოსილებანი, რომელმაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა რესპუბლიკაში მაისის დამლევს გამართულ საქართველოს ისტორიაში პირველი პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნებში ამ საპატიო პოსტის ხუთ სხვა კანდიდატთან ბრძოლაში.

კენჭისყრის ოფიციალური შედეგები სესიაზე გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არჩილ ჭირაქაძემ.

საზეიმოდ გაისმა ღვთისა და ერის წინაშე ბიბლიაზე საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ფიცის სიტყვები, რომელმაც კანონმდებლებს აღუთქვა თავისუფლებისა და ჰუმანიზმის, სიკეთისა და სამართლიანობის იდეალების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ერთგულება, ის, რომ დაიცავს ადამიანის უფლებებს. ეს სიტყვები დაგვირგვინდა ეროვნული ჰიმნის „დიდების“ მელოდიით, რის შემდეგაც ბატონ ზვიად გამსახურდიას რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე არჩევა პირველმა მიულოცა ამ ცერემონიალზე მოწვეულმა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტმა წარმოთქვა საპროგრამო სიტყვა, რომელშიც მკაფიოდ განსაზღვრა რთული ამოცანები, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე, ჩამოაყალიბა რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში დაგროვილი პრობლემების გადაჭრის სტრატეგია და ტაქტიკა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს სახელით მისმა თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა ერთხელ კიდევ მიულოცა ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელმწიფოს მეთაურის საპატიო პოსტზე არჩევა, უსურვა მას ჯანმრთელობა, ბედნიერება, წარმატებანი ქართველი ერის სანუკვარი მიზნის — სამშობლოს სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის ძნელ გზაზე.

*

* *

14 ივნისს გამართული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის დაწყების წინ პარლამენტის ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან

პარლამენტში დამკვიდრებულ პრაქტიკას, როცა კანონებსა და სხვა პრ[illegible] გადაწყვეტილებებს იღებენ დეპუტატების მიერ წინასწარ შეუსწავლელად, გამოთქვეს სურვილი, რომ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები დაიბეჭდოს რესპუბლიკურ პრესაში. სესიის თავმჯდომარესთან — საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან აკაკი ასათიანთან აზრთა გაზიარების შემდეგ კანონმდებლები შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან ყოველი მორიგი სხდომის წინ დეპუტატებს წინასწარ გააცნობენ განსახილველ კანონპროექტებს, უფრო სრულად გააშუქებენ განსახილველ პრობლემებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

შემდეგ განცხადებით გამოვიდა ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ დეპუტატთა ჯგუფის წარმომადგენელი მალხაზ კვანჭილაშვილი. განცხადებაში მწვავედ არის გაკრიტიკებული ფინანსური პოლიტიკა, რომელიც რესპუბლიკაში ხორციელდება, აღნიშნულია ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსანთა სულ უფრო მზარდი გავლენა. ამ ჯგუფის აზრით მაფიამ ამ ბოლო დროს ფართო საქმიანობა გააჩაღა უკანონო გზით შეძენილი ფულის „გაკეთილშობილებისათვის“.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, რომელმაც სცადა უარეყო განცხადებაში ნათქვამი და მხარი დაუჭირა დეპუტატთა წინადადებას, რომ შეიქმნას პარლამენტის სპეციალური კომისია მდგომარეობის შესასწავლად.

სხვა საკითხებს შორის, რომლებსაც ამ დღეს განიხილავდნენ დეპუტატები, უმნიშვნელოვანესი იყო ერთსულოვნად მიღებული კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ. იგი ეფუძნება რესპუბლიკის სუვერენიტეტის, სხვადასხვა ფორმის საკუთრების, მათ შორის კერძო საკუთრების განვითარების პრინციპებს, საქართველოს მთელი სამეურნეო კომპლექსის ერთიანობას. კანონში ნათქვამია, რომ ყველა საწარმო და ორგანიზაცია, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს, ექვემდებარება რესპუბლიკის კონსტიტუციას და მომავალი ეკონომიკური სისტემა აქ უშვებს როგორც თავისუფალ მეწარმეობას, ისე სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ ეკონომიკასაც. მიღებული კანონის თანახმად, საქართველო ქმნის თავის ეკონომიკურ საზღვრებს და საკუთარ საბაჟო სამსახურს.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის კონსტანტინე ფირცხალავას წარდგინებით განიხილეს ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ კანონის პროექტი. მან ცხარე კამათი გამოიწვია, რადგან ზოგიერთმა დეპუტატმა მიიჩნია, რომ იქ იგრძნობა ბაზრის საწინააღმდეგო მიმართულება. კანონის ბედი გადაწყვიტა არგუმენტებმა, რომლებიც მოიყვანა სესიაზე მყოფმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. ხმების აბსოლუტური უმრავლესობით კანონის პროექტი მიიღეს.

სხდომაზე მიიღეს აგრეთვე დადგენილებანი საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსა-

მართლეთა და ნაფიც მსაჯულთა გაწვევის და ვადამდე გათავისუფლების დებუ-ლების დამტკიცების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამარ-თლოს ნაფიც მსაჯულთა არჩევის, ზოგიერთი მათგანის უფლებამოსილებათა ვადის გაგრძელების თაობაზე.

დეპუტატებმა მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ, აგრეთვე დროებითი დებუ-ლება ამ სამსახურის გავლის თაობაზე.

უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოში უკვე მიმდინარე წლიდან დაშვებულია ყველა დონის ფასიანი სასწავლებლების შექმნა და სწავ-ლების ფასიანი სისტემის შემოღება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წარდგინებით მიღებულია გადაწყვეტილებანი ზოგიერთი სამინისტროს და დე-პარტამენტის გაერთიანების შესახებ, დაინიშნა მათი ხელმძღვანელები.

სესიაზე განიხილეს სხვა აქტუალური საკითხებიც.

*

* *

28 ივნისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზე-ნაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა უზენა-ესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრე-ზიდენტი ზვიად გამსახურდია და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

დღის წესრიგის პირველი პუნქტი იყო „საქართველოს რესპუბლიკის მო-ქალაქეობის შესახებ“ კანონის პროექტის საკითხი, ინფორმაციით გამოვიდა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომი-სიის თავმჯდომარე ნუგზარ მოლოდინაშვილი. ამ კანონპროექტის განხილვის შემდეგ დეპუტატებმა იგი მიიღეს პირველი მოსმენით.

აზრთა საფუძვლიანი გაზიარება გაიმართა „სამეწარმეო საქმიანობის შესა-ხებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის განხილვის დროსაც. ეს პროექტი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ გივი თაქთაქიშვილმა, რომელმაც ყურადღება გაამა-ხვილა მისი გამოქვეყნების შემდეგ მიღებულ შენიშვნებსა და წინადადებებზე. ამ პროექტის მთელი რიგი დებულებების გამო დეპუტატთა თვალსაზრისი გაიყო. სიტყვა აიღო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსა-ხურდიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი სრულყო-ფილი არ არის, დეტალურ დახვეწას მოითხოვს ამჟამად შექმნილი ვითარების შესაბამისად რესპუბლიკაში, რომელსაც ჯერჯერობით არ მოუპოვებია ფაქტო-ბრივი დამოუკიდებლობა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის წი-ნადადებით ეს კანონი მიიღეს მხოლოდ პირველი მოსმენით.

უზენაესმა საბჭომ პირველი მოსმენით მიიღო აგრეთვე ამ დღეებში საყო-ველთაო სახალხო განხილვისათვის გამოტანილი „საგადასახადო სისტემის ზო-გადი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი,

აგრეთვე უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ტარიელ გელანტიას მიერ წარმოდგენილ კანონპროექტთა პაკეტი საქართველოს რესპუბლიკაში საბანკო-საფინანსო სისტემის შესახებ; ეს არის კანონები ეროვნული ბანკის, ბანკებისა და საბანკო საქმიანობის, ფულადი სისტემის, ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა კანონმდებელთა განსახილველად წარმოადგინა „ადამიანის მოტაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ კანონების პროექტები. ყოველი მუხლის დეტალური განხილვის შემდეგ კანონები მიიღეს.

შემდეგ სიტყვა მიეცა შიდა ქართლში ვითარების ნორმალიზაციისათვის სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ და საქართველოს უზენაესი საბჭოების საპარლამენტთაშორისი კომისიის წევრს გელა ჩორგოლაშვილს. მან დამსწრეთ აცნობა, რომ ამ დღეებში გაიმართა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც დაგმეს სსრ კავშირის ზოგიერთი სახალხო დეპუტატის — ჩეხოევის, ალქსნისის, კოგანისა და სხვათა მოქმედება საპარლამენტთაშორისო კომისიის მუშაობაში მათი ჩარევის გამო. უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება 1991 წლის 28 ივნისის 22 საათიდან ქალაქ ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიაზე ორი თვის ვადით საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ. კომენდანტის საათის ხანგრძლივობაა 22 საათიდან დილის 7 საათამდე.

უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ საქართველოს რესპუბლიკა მზად არის უმოკლეს ვადაში შეუერთდეს უმნიშვნელოვანეს კონვენციებს, დეკლარაციებს, საერთაშორისო სამართლის პაქტებს, მოახდინოს მათი რატიფიკაცია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნემო ბურჭულაძემ გააცნო დეპუტატებს მისი მეთაურობით აფხაზეთში წარგზავნილი საპარლამენტო დელეგაციის მუშაობის შედეგები.

„დემოკრატიული ცენტრის“ ფრაქციის სახელით განცხადება საქართველოში მსჯავრდებულთა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაგზავნის დაუშვებლობის შესახებ გააკეთა დეპუტატმა ნოდარ ნათაძემ. ამ განცხადებაში ჩამოყალიბებულ ზოგიერთ საკითხს უპასუხა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა.

კარში „სხვადასხვა“ რესპუბლიკის ცხოვრების აქტუალური საკითხები წამოჭრეს დეპუტატებმა გურამ პეტრიაშვილმა, აპოლონ სილაგაძემ და რამაზ სურმანიძემ.

სესიაზე გამოვიდნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ისა ქოძოევი და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფის გამგეობის წევრი, ჩვენი თანამემამულე რენო სირაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ფინეთის პარლამენტში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მხარდამჭერი ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## აქტები

14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიმართა შავი ზღვის აუზითა და პრობლემით დაინტერესებული ქვეყნების მთავრობათა მეთაურებს. მიმართვაში ნათქვამია, რომ შავი ზღვა პლანეტის უდიდესი უნიკალური მერომიქტიკული წყალსატევია, რომლის 90 პროცენტს შეადგენს უჟანგბადო გოგირდწყალბადიანი წყლის მასა. ზღვის ფსკერზე მიმდინარეობს მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების — „გვამების წვიმის“ ინტენსიური დალექვა, რის შედეგადაც გოგირდწყალბადის შემცველობა განუწყვეტლივ იზრდება, მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ საწარმოო და ფეკალური წყლები ჩაედინება შავ ზღვაში.

გოგირდწყალბადის რაოდენობა შეადგენს 2 მილიარდამდე ტონას. არსებობს მისი აფეთქების რეალური საშიშროება, რის შედეგად გამოწვეული ნგრევით მიყენებული ზარალი მრავალჯერ გადააჭარბებს ჩერნობილის კატასტროფას და დამღუპველად იმოქმედებს არა მარტო შავი ზღვისპირეთის, არამედ მთლიანად პლანეტის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

შავი ზღვის წყლის გაწმენდის შედეგად შეიძლება ძვირფასი ქიმიური ნივთიერებების, მათ შორის გოგირდის, წყალბადისა და საწვავი გაზის მიღება და სასიკეთოდ გამოყენება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი მიმართავს რა ზემოაღნიშნული ქვეყნების მთავრობათა მეთაურებს თანამშრომლობისათვის, წინადადებას აყენებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შეიქმნას შავი ზღვის აუზის ეკოლოგიური გარემოს დამცავი სამთავრობათაშორისო სპეციალიზებული დაწესებულება.

მიმართვაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უზრუნველყოფს გაეროს სამთავრობათაშორისო სპეციალიზებული დაწესებულების წევრი სახელმწიფოებისათვის კეთილსასურველ სამუშაო პირობებს და კისრულობს მისი შტაბბინის მოწყობას.

*

* *

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ქალაქების მიმდებარედ კოლექტიური მებაღეობისათვის მიწების განუკითხავად დიდი რაოდენობით განაწილებამ და მეტწილად არადანიშნულებით გამოყენებამ, ტყის მასივების გაჩეხვამ, მძიმე სამშენებლო ტექნიკის მეშვეობით გზების გაყვანით გამოწვეულმა მეწყერებმა, წყაროების დაბინძურებამ და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განადგურებამ დაამძიმა ქალაქების ეკოლოგიური მდგომარეობა და საფრთხის წინაშე დააყენა ქალაქისპირა სოფლების არსებობა.

აღნიშნული მდომარეობის გამოსწორების მიზნით და მომავალ აგრარულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებს გლეხური მეურნეობის შექმნას და სოფლის მოსახლეობისათვის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 24 ივნისის ბრძანებულებით აიკრძალა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე კოლექტიური მებაღეობისათვის ნაკვეთების შერჩევა-გამოყოფა-განაწილება. გაუქმდა საქართველოს მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭო. მოქმედი კოლექტიური მებაღეობები უნდა გადავიდნენ შესაბამისი რაიონების პრეფექტურების დაქვემდებარებაში იურიდიული პირის სტატუსით.

ბრძანებულება ითვალისწინებს სხვა ღონისძიებებსაც.

*

*   *

ამავე რიცხვის ბრძანებულებით მიზნობრივი ტექნიკური საშუალებების წარმოების ორგანიზაციის მიზნით შეიქმნა მიზნობრივი საშუალებების საკოორდინაციო-ტექნიკური საბჭო უზენაესი საბჭოს დეპუტატის ნ. შავთვალაძის ხელმძღვანელობით და განისაზღვრა საბჭოს ამოცანები.